ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

დამფუძნებელი კრების ანჩიკნების დოგმატების
შეხწორებისა

83
НЕ ВЫДАВАТЬ
საქართველოს რევოლიუ
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ
(4) 92-98
5-24
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კანონი

დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულების

შესწორებისა

მუხლი 1. (ვადების შესამცირებლად)

შეცვლილ იქმნეს მუხლები: 30, 32, 33, 34, 36, 39, 40, 41, 43, 49, 50, 54, და 61 პირველი ნახევარი შემდეგი სახით:

მუხ. 30. ვინც საარჩევნო უბანში სიების შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდება შეიძლება შეტანილ იქნეს სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ წარუდგენს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიას. ასეთი განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნას სიების შედგენის დამთავრებამდე და აგრეთვე სამის დღის განმავლობაში სიების გამოქვეყნებიდან. ასეთ განცხადებასთან ერთად უნდა განცხადებულ იქნეს ისიც, რომ მთხოვნელი ამოიშალოს წინანდელ საცხოვრებელ ადგილას შემდგარ სიიდან, ასეთი განცხადება გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

მუხ. 32. საარჩევნო სია შედგენისათანავე დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში კი, არა უგვიანეს ოცდა ოთხი დღისა არჩევნების დაწყებამდე საქვეყნოდ გამოცხადდება ისე, რომ ყველას შეეძლოს გაცნობა.

მუხ. 33. სამის დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა—ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეუძლია განაცხადოს პროტესტი: საარჩევნო ხმის უფლების მქონეებელთ კი შეუძლიან საჩი-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა
F 18.995
2
4146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი შეიტანონ, რომ სია არ არის სწორედ შედგენილი, ან სრული არაა. ხსენებული პროტესტები და საჩივრები შეაქვთ სამაზრო ან საქალაქო (სოხუმის და ზაქათალის ოლქებისთვის—საოლქო) საარჩევნო კომისიებში.

მუხ. 34. ხსენებულ კომისიებს შეუძლიანთ დააკმაყოფილონ: 1) საჩივრები სიაში მომჩივანთა შეუტანლობის ა, თუ ეს საჩივრები აღძრულია სამის დღის წინ მე-30 მუხ. აღნიშნულ ვადის გათავებამდე და, 2) საჩივრები მომჩივნებისა საარჩევნო სიებში არა სწორი ცნობების შეტანის გამო. აღნიშნულ საჩივართა დაკმაყოფილებას მომჩივანთ ატყობინებენ.

მუხ. 36. არა უგვიანეს ორის დღისა მე-30 მუხ. აღნიშნულის ვადის გათავებიდან საყოველთაოდ უნდა გამოცხადდეს დამატებითი საარჩევნო სია, სადაც შეტანილი იქნება მხოლოდ: 1) ვინც აღნიშნულია მე-30 მუხლში, ვისი განცხადებაც სიაში თავის დროზე შეუტანლობისა დაკმაყოფილებულია, 2) ის, ვინც აღნიშნულია მე-34 მუხლში და ის, ვინც დაუკმაყოფილებია სათანადო კომისიას. დამატებითს საარჩევნო სიას შეადგენენ თანახმად მე-29 მუხლში აღნიშნული წესებისა.

მუხ. 39. სამაზრო და სამოქალაქო საარჩენო კომისიების გადაწყვეტილების შესახებ შეიძლება პროტესტის და საჩივრის გადატანა საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში სამის დღის განმავლობაში: ასეთი პროტესტების და საჩივრების აღძვრა საარჩევნო წარმოებას ვერ შეაჩერებს.

მუხ. 40. საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება აღნიშნულ პროტესტებს და საჩივრებს განიხილავს ორი დღის ვადაში.

მუხ. 41. საარჩევნო სიები მათი ორი დღის განმავლობაში შესწორების შემდეგ, თანახმად საოლქო სასამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლოს საადმინისტრაციო განყოფილების გადაწყვეტილებისა ხელახლა გამოქვეყნდება არა უგვიანეს ხუთის დღის ვადისა არჩევნების დაწყებამდე, ისე რომ ხალხს რაც შეიძლება გაუადვილდეს მათი გადათვალიერება.

მუხ. 43. საკანდიდატო სია ამომრჩეველთა ჯგუფმა უნდა წარმოუდგინოს ცენტრალურ კომისიას არა უგვიანეს ოცი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

მუხ. 49. უკვთუ წარმოდგენილი საკანდიდატო სია არ აკმაყოფილებს მე-44 მე-46 და მე-47 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებას, იმ შემთხვევაში ცენტრალური კომისია აცნობებს ამას ჯგუფის წარმომადგენელს ერთი დღის განმავლობაში. განცხადება ხსენებულ ნაკლთა გასასწორებლად შეიძლება შეტანილ იქნეს გამოცხადებიდან ორი დღის განმავლობაში.

F 18.995

2 მუხ. 50. წარმოდგენილი საკანდიდატო სიები, რომელიც აკმაყოფილებს მე-42, მე-44 და მე-45 მუხ. აღნიშნულ მოთხოვნილებას, ცენტრალურ კომისიის მიერ ინუმრება მათი შემოტანის რიგის მიხედვით. ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელწოდებით თუ სიებს თან ახლდება ასეთები, საკანდიდატო სიები გამოიფინება კომისიის შენობაში არა უგვიანეს თოთხმეტის დღისა არჩევნების დაწყებამდე და დაუყოვნებლივ ეუწყება სამაზრო, საოლქო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს და საყოველთაოდ გამოცხადდება.

მუხ. 54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს. ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს ოცდა ათი დღისა არჩევნების დაწყებამდე.

მუხ. 61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

F 18.995
2
ეროვნული
ბიბლიოთეკა